



ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№2(94)

თებერვალი
2022 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

24 თებერვალი, 2022 წელი: რუსეთისა უკრაინის სრულმასშტაბიანი რმი დაიწყო



2022 წელი უკრაინის სავარაუდოს, ტანკობრძოლის
მიზანის გვერდით და უკრაინის მხარეს გვიგავადო!
საქართველოს პრეზიდენტი საღომატი ზურაბ გვარდიაშვილი



არჩილ
ტატუელავილის
გარდაცვალებიდან
რთხი წელი
გავიდა

2
1 მარტი 2022 იწყება სოჭიალურად დაუცველი
შემოსისანისანი მოქადაგებების
დასაქმების მასშტაბური პროცესი

შენასწარი პროცესი დასაქმების
200 000-ზე მეტი ადამიანი

2
აირვებ ესავე მარტი დასაქმების
სამინისტროს მიზანი მომდევნობის
50 ათასამდე ვაკაციის მობირიზებას

საქართველოს პრეზიდენტის ინახვი დარიგებული:

მინდა ჩემი სოლიდარობა გამოვხატო უკრაინისა და უკრაინელი ხალხის მიმართ. სუვერენულ სახელმწიფო ზე თავდასხმა და სამხედრო მოქმედებები, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად მიუღებელია და ენინაალმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ჩვენ, საქართველო და ჩვენი ხელისუფლება ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ პოლიტიკური და პუმანიტარული მხარდაჭერა აღმოვარჩინოთ უკრაინას და უკრაინელ ხალხს, ჩვენს მეგობარ სახელმწიფოს და მეგობარ ხალხს.

25 თებერვალი, 2022 წელი



დავით ბრზაძე
წეროვანი
საგზაო
მიზანის
მიზანის
მოწყობის
მიმღების
გაეცნო

საქართველოს მთავრობამ კრიზისის
საწინააღმდეგო რეგულაციების
შემსრულებელი გადაწყვიტა

ფინანსურის უნივერსიტეტი
ფინანსურის 2022
შესასწავებელი ეტაპი იწყება!



რს ურჩის იქრთოლებს იღის ჭავჭავაძემ
და რატობ მოსსესიების იქრთის პატარა
კაეთად

1 1

პრეზიდენტის გარდაცვალების მთხოველი ნელი გავიდა

22 თებერვალს შესრულდა ოთხი წელი ახალგორელი არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებიდან.

„დღეს ჩვენი დღოის გმირის, არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების დღეა. მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, პატივს მივაგებ მის ნათელ ხსოვნას.

სამშობლოსათვეს მისი თავდადება ის მაგალითია, რომელზეც არაერთი თაობა აღიზრდება.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებაში დამნაშავე ყველა პირი“. – ასე გამოეხმაურა ამ თარიღს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თეა ახვლედიანი კი 22 თებერვალს მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე იმყ-



ოფებოდა, სადაც არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო და მისი საფლავი გვირგვინით შეამკვიდრეს ტატუნაშვილის მევლელობიდან 4 წელი შესრულდა. თეა ახვლედიანმა გმირის ოჯახის წევრებს კიდევ ერთხელ მიუსამძიმრა და მთავრობის სახელით სრული თანადგომა აღიუთება.

სახელმწიფო მინისტრთან ერთად, არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას, პატივი მიაგეს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ და ახალგორის გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა.

„დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ საქართველოს ლირების დაცვისთვის თავგანწირული ვაჟკაცის, არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას. ზუსტად ოთხი წლის წინ მისი სიცოცხლე საოკუპაციო რეჟიმმა იმსხვერპლა. ჩვენ არასდროს შევეგუებით მსგავსს სისასტიკესა და უსამართლობას და ვაგრძელებთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საერთაშორისო, სამართლებრივი და პოლიტი-

კური ბერკეტის გამოყენებით, ბრძოლას ოკუპაციასა და მის თანმდევ სავალალო შედეგებთან, რათა პასუხისმგებაში მიეცეს საქართველოს მოქალაქეების სიცოცხლის ხელყოფაში მონაწილე და დამნაშავე ყველა პირი და ალარასდროს განმეორდეს მსგავსი ტრაგედიები. მე კიდევ ერთხელ თანავუგრძნობ არჩილ ტატუნაშვილის ოჯახს და გამძლეობას ვუსურვებ მათ,“ – განაცხადა თეა ახვლედიანმა.



1-ელი მარტინი სოციალურად დაუსველი უროვნების მომსახურის მასშტაბური დასაქმების პროცესი ინუიგი

საქართველოს პრემიერმინისტრის ინიციატივით, 1-ელი მარტინი სოციალურად დაუსველი შრომისუნარიანი მოქალაქეების მასშტაბური დასაქმების პროგრამა იწყება.

პროგრამით ისარგებლებენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შემსტატური ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი.

მოსარგებლებს ექნება საშუალება, აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია, ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზება მოახდინოს და ჩაერთოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქეპროგრამებში.

საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დამარტინის შეწყვეტას. მოსარგებლის ოჯახს 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება საარსებო შემწეობა.

მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ იგი არ დათანხმდება არცერთ შემოთავაზებას, მაგრამ 1 წლის შემდეგ იჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება.



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები ეცხათა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულება დავით წრიუკებ დათვალიერება

წეროვნის დევნილთა დასახლებაში შეიდა საუბნო გზების მოწყობიგება აქტიურად მიმდინარეობს. შედეგად, დასახლების 14 ქუჩაზე ასფალტის საფარი დაიგება. პროექტს მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია აფინანსებს.



საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულება დავით ნოზაძემ, პირველ მოადგ-

ილე

გიორგი ჩიტჩიურთან, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან, დიმიტრი ზურაბიშვილთან, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნუგზარ თინიკაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

როგორც მხარის სახელმწიფო რწმუნებულება აღნიშნა, პრიორიტეტი მოსახლეობისათვის უკეთესი პირობების შექმნაა, ამიტომ, მსგავსი სახის პროექტები, რეგიონის მასშტაბით, მომგალშიც გაგრძელდება.

“მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სხვადასხვა სახის, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობიგება აქტიურად მიმდინარეობს. ასეთი პროექტები მხარისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რა თქმაუნდა, სარეაბილიტაციით თუ სამშენებლო სამუშაოები ოთხივე მუნიციპალიტეტში მომავალშიც განხორციელდება, რადგანაც ჩვენთვის მთავარი ჩვენს მოსახლეობაზე ზრუნვაა”, - განაცხადა დავით ნოზაძემ.

დავით ახლოური — ქსნის ხეობის მესტორი

გამოვიდა საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის მიერ მომზადებული სამეცნიერო შრომათა კრებული „მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის“ მე-3 ტომი (მთავარი რედაქტორი მონაზონი იოანე (მამუკა) ცუხიშვილი), სადაც დაიბეჭდა ისტორიკოს დავით ახლოურის ნაშრომი „ახალგორის ისტორიიდან“.

გვინდა აღნიშნოთ, რომ მართლაც აღფრთვანებას იმსახურებს ბატონი დავითის მეცნიერული შრომა ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის შესწავლის საქმეში. როგორც ჩვენმა მყითხველმა იცის, ზოგიერთი მასალა შემოკლებით ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც იბეჭდება და თვალსაჩინოა, რომ ბატონ დავითს დიდი კვლევითი სამუშაო აქვს ჩატარებული თითოეული სოფლის ისტორიის, მისი წარმოშობის, მოსახლეობის, კულტურული მემკვიდრეობის და სამეურნეო საქმიანობის სურათის აღსადგენად. აღსანიშნავია, რომ ყველა კვლევა თავმოყრილია და გამოცემულია წიგნად

საიცორმაულო შევებრივი მოირა განვითარებათან




2 თებერვალს, დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლებმა დევნილ მოსახლეობასთან შეხვედრა გამართეს ახალი „ეკონომიკური აგენტის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში.

სააგენტო, განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით, დევნილთა და ეკომიგრანტთა საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ მიზნობრივ პროგრამებსა და პროექტებს ახორციელებს.

შეხვედრის ძრითადი მიზანი შეკრებილი საზოგადოებისთვის მცირე მენარმეობაში დახმარების პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება იყო.

შეხვედრას ესწრებოდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნუგზარ თინიკაშვილი.



„ქსნის ხეობის სოფლების ისტორია“, რომელიც გამოსცა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრმა და რაც მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც კონკრეტულად ჩვენი კუთხის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის, ასევე ქართული ისტორიოგრაფიისთვის.

ბატონ დავითის კიდევ ერთხელ უცხდით მადლობას რედაქციისათან თანამშრომლობისთვის და კვლავაც ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ვუსურვებთ.

ჩვენი დროის გმირები

გია ღურგლიშვილი

„სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია ძუძუს მამსხლიტა დედამამა“, – იმ ქართველს ათქმევინა პოეტმა ნარ-სულში, ვინც კარგად იცოდა სამშობლოს სიყვარულის, მისი დაცვა-გაფრთხილების ფასი და მისთვის თავ-დადებაც შეეძლო. ბედისნერასავით დაჰყვა ქართველს მტერთა შეურიგებელ და უსამართლო ომებში ჩაბმა...

ჩემს ახალგაზრდობაში და შემდეგაც, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, ხშირად ენყობოდა შეხვედრები || მსოფლიო ომის, მაშინ კი – დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, ინტერბოდა მათზე გაზეთებში, მკერდზე ასხმული ჯილდოებიანი ფოტოებით, იქმნებოდა ფილმები. საზეიმო დღეებში /9 მაისს/ მოსწავლეები უწყობდნენ შეხვედრებს, აყოლებდნენ ომის ამბებს... ეს ყველაფერი ისტორიის კუთვნილება გახდა ცოტა შორეული წარსულის, რადგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შემოგვეჩვია ომები, სამამულოც და სამოქალაქოც, აკი ჩვენს თავზეც გადავიტანეთ უმძიმესი აგვისტო, უმძიმესი შედეგებით...

ამჯერად, მკითხველს ვუამბობ ჩვენი დროის გმირებზე, ვინც აფხაზეთში საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდნენ, ტყვედ ჩავარდნენ, მრავალი ტანკვა-ვაება



გარვეზი: გია ღურგლიშვილი

გამოიარეს, მაგრამ სამშობლოს ვალი, ეს წმიდათაწმიდა ვალი, პირნათლად მოიხადეს და დღეს ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, უბრალოდ, მაგრამ გულისგულში სამუდა-

საქართველოს მთავრობამ კოვიდსანინალადებო რეგულაციების შესახუება გადაწყვიტა

საქართველოში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგრმარეობის ანალიზის საფუძველზე, უწყებათაშორისმა საკონრდინაციო საბჭომ მოქმედი რეგულაციების შემსუბუქების გადაწყვეტილება მიიღო.

სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიბაშვილის ხელმძღვანელობით, დღეს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა, აღინიშნა, რომ ქვეყანამ „ომიკრონის“ შტამის გავრცელების პიკი გადაიარა, რაც შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შესაძლებლობას იძლევა.

უწყებათაშორისი საკონრდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით:

- 1-ლი მარტიდან, საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო საზღვრით შემოდის უცხო ქვეყნის ყველა მოქალაქე/რეზიდენტი, რომელიც - არის სრულად ვაქცინირებული; ხოლო ვაქცინაციის არქონის შემთხვევაში - წარადგენს 72-სათიანი ვალიდურობის მქონე წჩლ-ტესტს (მესამე დღეს PCR ტესტირების ვალდებულების გარეშე); იხსნება ქვეყნების ე.წ. ჩამკეტი;

- ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების PCR-ტესტით შემოსვლის შემთხვევაში, იხსნება მესამე დღეს PCR-ტესტირების ვალდებულება, ხოლო PCR-ტესტის არქონის შემთხვევაში, არსებული 8-დღიანი თვითიზოლაცია შემცირდება 5 დღემდე;

- რეგულაციების შემსუბუქების გათვალისწინებით, უქმდება ბიზნესვიზიტორების, „იმუშავე საქართველოდან“ და სტუდენტური აპლიკაციები.

- კვების ობიექტებში ღია სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 15 ადამიანი (არსებული 10-ის ნაცვლად);

- დაუურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან დაიშვება 10 ადამიანი (არსებული 6-ის ნაცვლად); უქმდება სტუმართა მაქსიმალური რაოდენობის შეზღუდვა;

- სოციალური ღონისძიებების (წვეულება, დაბადების დღე, ქორნილი, ქელები) გამართვა დასაშვები იქნება იმავე პირობით - დაუურულ სივრცეში ერთ მაგიდასთან - 10 ადამიანის, ხოლო ღია სივრცეში - ერთ მაგიდასთან 15 ადამიანის განთავსება.

- 1-ლი მარტიდან უქმდება საკარანტინები, ე.წ კოვიდ-სასტუმროები, დღეიდან აღნიშნულ სივრცეებში ინფიცირებულთა შეყვანა შეჩერდება;

- უქმდება თერმოსკრინინგისა და უურნალის წარმოების ვალდებულება;

- უქმდება დეზობარიერის ქონის ვალდებულება.

- უქმდება ბუფეტის მომსახურებაზე შეზღუდვა;

- 4 მარტიდან დასაშვებია კულუბების ფუნქციონირება - ღონისძიების საერთო ფართის 60%-იანი დატვირთვით.

- 15 მარტიდან დასაშვებია კონფერენციების, სემინარების და ტრენინგების ჩატარება შეზღუდვების გარეშე;

- საკონრდინაციო საბჭოს სხდომები ყოველკვირეული სიხშირის ნაცვლად, ორ კვირაში ერთხელ გაიმართება;

უწყებათაშორისი საკონრდინაციო საბჭო განაგრძობს ეპიდემიოლოგიურ ტენდენციებზე დაკვირვებას და შემდგომ გადაწყვეტილებებს ვითარების შესაბამისად მიიღებს. პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკონრდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პარლამენტი და პრეზიდენტის აღმინისტრაცია.

მოდ ჩაკირული შეუხერცებელი ჭრილობით, ბევრის გამგონე და ბევრის მნახველები, თავმდაბლები, ნარსული დროის მოწმენი, ჩვენი დროის გმირები.

კარგი იქნება, მომავალმა თაობამ ბევრი იცოდეს მათ შესახებ...

გია დურგლიშვილი 18 წლის იყო, აფხაზეთის ომში რომ წავიდა... დედისერთა ვერ დაემშვიდობა დედას, ეგონა, დედა არ გაუშვებდა და სახლიდან გაიპარა, მოხალისედ წავიდა...

რეინიგზის მერვე სპეცდანიშნულების ბატალიონში ჩარიცხეს.

ბატალიონში მასთან ერთად ირიცხებოდნენ ალიკა ხაჩიძე, ბუბა შეველიძე. 4 ავტობუსი ტყვია-წამალი და საკვები წაიღეს აფხაზეთში. გია ომში წასაყვანთა სიაში არ შეუტანიათ, როგორც დედისერთა, არც ბუბა, ახლა ღიმილით რომ იხსენებენ, ძალით წავაყვანინეთ თავიო...

...სოხუმის ჰესს იცავდნენ მებრძოლები, ყველამ იცოდა, რომ 8 მებრძოლი ახალგორიდან იყო: გია დურგლიშვილი, ბუბა შეველიძე, ალიკა ხაჩიძე, ელგუჯა ბაბარული, ბაკური ამირანაშვილი, ნოდარ ჩიტაშვილი, მიშიკო /მიხეილ/ კაკილაშვილი, ზურაბ ლუნაშვილი (ზურა ომიდან დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა ახალგორში, ნოდარიც ამ სამი წლის წინ გარდაიცვალა იკოთში და იქვე დაკრძალული) – ერთმანეთზე ძლიერები, სამშობლოს მოყვარულები. დიდხანს იცავდნენ ჰესს, გმირულად, ხან ტყვია-წამალი უთავდებოდათ და ხან რამდენიმე დღის შემთხვევაში უწევდათ, მაგრამ უკან არ დაუხევიათ, არც დაუწენებიათ. რამდენიმე დღე 35 მებრძოლს სამჯერ და ოთხჯერ მეტ კაციან ბოევიკებთან მოუხდათ უთანასწორო ბრძოლა...

ამ დღეებზე დაწეროლი არაჩვეულებრივი წიგნი „უამი“ მაქეს ხელთ, გიას მეუღლემ, ქალბატონმა ნენემ მათხოვა... ამონარიდი ამ წიგნიდან:

„...ყოველ ნაბიჯზე შეიძლებოდა ჩასაფრებულ სიკვდილთან შეყრა... მტრის სილუეტი დალანდა. ესროლა. რა იცოდა, რომ მტერი უკვე მიზანში იღებდა. მოხვედრილმა ტყვიამ ინსტინქტურად მოხარა წელში. ავტომატი ხელიდან არ გავარდნია, სროლას აგრძელებდა... სისხლის სითბო იგრძნო ფეხებზე... შეტორტმანდა...“

„მომელეს ამათი...“

ბალაზზე მიესვენა... ვიღაც დასდგომოდა თავზე... იორნია და ბედთან შეგუების უხილავი სხივი დასთამაშებდა გიას სახეს. ვაუკაცობამ იკვესა თვალებში. – მესროლე შენი... – შეუკურთხა.

მთლად ქართველს ჰეგვდა თავს წამომდგარი.

აფხაზი მიხვდა, რომ გიამ აჯობა, მიხვდა, სულიერად მასზე ძლიერი იყო და ავტომატი დაუშვა, უსიცოცლოდ, ნირნამხდარი გაბრუნდა...



გელა მედალი „მხედრული მამაცობისათვის“

იცყვა ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი! 2022-ის გასარჩვი მუნიციპალური ტური!

2022 წლის მარტში იწყება და 2022 წლის ოქტომბერში მთავრდება ფოლკლორის ეროვნული ფესტივალი.

ეროვნულ ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ:

- ავთენტიკურ ჯგუფებსა და სასოფლო ანსამბლებს
- ხალხური სიმღერის მუნიციპალურ და თვითმოქმედ ანსამბლებს

- ტრადიციულ ხალხურ საკრავთა ანსამბლებს

- საოჯახო ანსამბლებს (მუსიკა, ქორეოგრაფია)

- ქორეოგრაფიულ ანსამბლებს

- ინდივიდუალურ შემრულებლებს (სიმღერა, ცეკვა, საკრავი)

- მთემელებს, ავტორ-მთემელებს, შემკრებებს

- ხალხური რეწვის და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატებს

- სახვითი ხელოვნების ოსტატებს

ფესტივალის კრიტერიუმების, ვადების, მომზადებისა და მიმდინარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <http://folk.gov.ge/festival2022/>

ფესტივალის მონაწილის მინიმალური ასაკია 15 წელი, ბავშვების მონაწილეობა დასაშვებია სიმღერისა თუ ცეკვის საოჯახო ანსამბლებსა და ხალხური რეწვის სახეობებში.

ანკეტები შეგიძლიათ გამოაგზავნოთ PDF ფორმატით ელფოსტაზე: nationalfestival2022@gmail.com

ასევე, შეგიძლიათ შევასოთ ელექტრონულად.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

593 26 21 90; 599 85 49 90



ფესტივალის მზადებისა და მიმდინარეობისათვის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურები უზრუნველყოფენ მონაწილეთა წინასწარ რეგისტრაციას, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ შედგენილი და მინოდებული სპეციალური ანკეტების შევსებას, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის საკოროდინაციო ჯგუფი კი – ფესტივალის საინფორმაციო ბაზის შექმნასა და ინფორმაციის გაცემას.

ფესტივალი ჩატარდება სამ ტურად: ადგილობრივი, რეგიონული და დასკვნითი.

ადგილობრივი ტური გაიმართება 2022 წლის მარტსა და აპრილში და მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს

(შენიშვნა: ადგილობრივ ტურში შეიძლება გაერთიანდეს ორი ან რამდენიმე მიმდებარე მუნიციპალიტეტი). ადგილობრივ ტურში არ მონაწილეობენ ზეპირსიტყვიერების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგები.

რეგიონული ტური გაიმართება 2022 წლის მაისსა და ივნისში, რეგიონების ადმინისტრაციულ ცენტრებში.

ადგილობრივი და რეგიონული ტურების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ მუნიციპალიტეტებსა და მონაწილეებს ეცნობებათ წინასწარ.

„თოვლა და თბილის ეპურა თაღები, დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!..“

ჩუქური ტყვიაშვილქვევზე გადაშეს შილი,
განვითარებით შალვა ერისთავის სახე

თებერვლის ეს დღეები განსაკუთრებული ტკივილითა
და სიმძაფრით მასესნებს 1921 წლის 25 თებერვალს,
საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას...


24 თებერვალს ოკუპანტებთან ბრძოლას შეენირა ჩვენი
სახელმწიფო ქანისხეობელი გმირი, იუნკერი შალვა ერი-
სთავი. ის მაშინ, ჯერ კიდევ 23 წლის ღიმილის ბიჭი იყო.

შალვა - ნიკოლოზ (კოლა) ერისთავისა და ტასო ცი-
ციშვილის უმცროსი ვაჟი გახლდათ. ერისთავების პირ-
ველი შვილი - გიგუშა, ილია ჭავჭავაძის ნათლული ყო-
ფილა და სამწუხაროდ, 8 წლის ასაკში გარდაცვლილა.
ჰყავდათ კიდევ ორი ქალიშვილი - ნინო და თამარი.
როცა შალვა დაბადებულა, ოჯახს ერისთავთა საგვა-
რეულო საძალე, იყორთის მთავარნგელოზის სახე-
ლობის ტაძარი მოულოცავს, სადაც შალვა და ელიზბარ
ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის წმინდა
ნაწილებია დაკრძალული. შალვა, მომავალ გმირს დიდი
წინაპრის პატივსაცემად დაარქეს.

1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქა-
რთველ მებრძოლებს გენერალი გიორგი კვინიტაძე
ხელმძღვანელობდა. გენერლის ბრძანებით, სამხედრო
სკოლის კურსანტები 17 თებერვალს ჩაებნენ კო-
ჯორ-ტაბახმელის ბრძოლებში.

ბატონ შალვა ვოგუაძის მონათხრობით, ვინც ქსნისხ-
ეობელ გმირს წიგნი მიუძღვნა, 24 თებერვალს „ვოგი
მესიშვილის მეზარბაზნეებს რუსებმა ალყა შემოარ-
ტყეს. რამდენიმე განნირული ჯარისკაცი ბოლომდე
ხმალდახმალ იცავდა თავს მტრის ასეულისგან. იქვე,
ტაბახმელას ბალებში ჩასაფრებულმა იუნკრებმა თა-
ნამემამულები გარდაუვალი სიკვდილისგან იხსნეს.
ხელჩართულ ბრძოლას ხიშტი და ხმალი ცვლიდა...
შეუძლებელი შეიქნა ვინმეს გამორჩევა, ცალკეული
გმირობის დაფიქსირება, რადგან ეს იყო „მასობრივი
გულადობის“ დიდებული მაგალითი. ტაბახმელას გო-
რაკები მომხდეულთა გვამებით აიგსო. ბოლშევიკებმა
ძალა მაინც მოიკრიბეს და უკანდახევისას მონესრიგე-
ბა და მწყობრში ჩადგომა მოახერხეს. მოულოდნელად
მარჯვნივ და მარცხნივ მიზანმიმართულად გაიფანტნენ
და ღია ველზე შეტევაზე გადასულ იუნკრებს ტყვიამ-
ფრქვევი დაუშინეს. ტაქტიკამ გაამართლა. ქართ-
ველების შეტევას საშიშროება დაემუქრა. ერიტიკულ
ვითარებაში ერთადერთი გზა რჩებოდა - რადაც უნდა
დასჯდომოდათ, რუსული ტყვიამფრქვევი უნდა დაე-
დუმებინათ. ასიოდე ნაბიჯით დაშორებული საცეცხლე
ნერტი წინსვლას აბრკოლებდა და რუსებს მობილი-
ზების საშუალებას აძლევდა. მოხოტონურად, გულის
გამანვრილებლად კაკანებდა, თურმე, რუსული „მაქსი-
მის“ ტყვიამფრქვევი და იუნკრებს სანგრებიდან თავის
ამონევის საშუალებას არ აძლევდა. კაპიტან ჩიჩუას
მეთაურობით მესამე მწყობრი, რომელშიც შალვა ერი-
სთავი იბრძოდა, ტყვიამფრქვევისკენ დაიძრა. შეტე-
ვისთანავე ულმობელმა სიკვდილის მანქანამ რამდენ-
იმე იუნკრერი მოცელა, დაიჭრა მეთაურიც, რომელსაც
პოზიცია მაინც არ დაუტოვებია.

მოულოდნელად ჩაჩუმდა წითლების „მაქსიმი“.



ეტყობა, ლულა
გაუცხელდა ან გა-
დატენას აპირებენ მე-
ტყვიამფრქვევები...
შალვამ ისარგებლა
ტყვიამფრქვევის წა-
მიერი დადუმებით
და, თითქოს სტა-
დიონზე მონიაღმ-
დეგეს ატყუებსო,
სწრაფი, ზიგზაგური
მოძრაობით და თოფის
სროლით თავს დააცხ-
რა წითელ კურსანტ
ოფიცერს. კურსან-
ტი მიწათხრილს დააკვდა. მეტყვიამფრქვევემ იარაღი
გადატენა და ააკავანა. შალვას ტყვია გამოელია და
ხიშტით მისწვდა მას, მძიმედ დაჭრილი წითელარმიე-
ლი კანტიკუნტად, სულთმობრძავი სროლას მაინც გა-
ნაგრძობდა. დაიჭრა შალვაც... გონი არ დაუკარგავს,
სიმწრის იფლმა დაასხა, თუმცა ბოლო ძალა მოიკრიბა
და საკუთარი სხეულით დაადუმა ტყვიამფრქვევი.

იუნკრებმა სანგარი „ვაშას“ ძახილით აიღეს და მო-
მაკვდავი ჭაბუკის ბოლო სიტყვების მონმენიც გახდ-
ნენ: შალვამ მის დასახმარებლად მისული სანიტრები
ვერ იცნო და მხედრულად ნარმოთქვა: დადექ! ვინა
ხარო? იქვე ეგდო დაჩეხილი რუსი მეტყვიამფრქვევის
ჯერ კიდევ თბილი სხეული. გმირობის მონმე დადუმე-
ბული ტყვიამფრქვევი, როგორც განსაკუთრებული სა-
ბრძოლო ნადავლი, კაპიტანმა ჩიჩუამ თავად მიართვა
იუნკრეთა მეთაურს, პოლკოვნიკ ალექსანდრე ჩხეიძ-
ეს. ამ უკანასკნელს მოგვიანებით დაუწერია: იუნკრე-
ბის რაინდობისა და სიღიადის სამარადისო სიმბოლოდ
დარჩება რუსულ ტყვიამფრქვევზე გადამხობილი,
განგმირული შალვა ერისთავის სახებაო.”

დალუპულის ნეშტი დამით, საიდუმლოდ გამოუპარე-
ბიათ და დაუკრძალავთ ვერის ძეველ სასაფლაოზე...
„ლითონის ჩარჩოში ჩასმული შალვას ფოტოსურათი,
გასაგები მიზეზების გამო, საფლავზე ვერ მიუტანი-
ათ. იგი დღესაც მისი შთამომავლის, თამარ აშხვაცავას
ოჯახში, წმინდა რელიგიური ინახება. ჩუმად, ლირსეუ-
ლად დაუტირიათ უმცროსი ძმა დებს - წინოსა და



ცენტრში: კოლა ერისთავი და შალვა ერისთავი

ჩვენი დროის გმირები

გია ღურგლიშვილი

მე-5 გვერდიდან

...ყველა სიკვდილს ელოდა ქვეცნობიერად. სიკვდილის ლოდინი ასჯერ სიკვდილი იყო, უკრად მოსული სიკვდილი — ერთგზის სიკვდილი...

...გუდაუთის ტყვეთა ბანაკი... არაქათგამოცლილები, მშიერ-მწყურვალნი, სახეშეშლილნი, თავპირდასისლინებულები ბეტონზე მიესვენნენ.

გამორიცხული არ იყო, რომელიმე გაეყვანათ და დაეხვრიტათ. აქ არ არსებობდა არავითარი კანონი, გარდა აქაურობის ჯოჯოხეთად ქცევა და ასრულებდნენ კიდეც...

— ზურა მამულაშვილის და გენო ადამიას დამსახურებით გამოვედით ტყვეობიდან... — მეუბნება გია და თითქოს სადღაც ძალიან შორს გადააქვს მზერა...

— პირველი რა შეგრძნება იყო, აფხაზეთიდან რომ გამოხვედით, რომ გაგათავისუფლეს?.. — ვეკითხები გიას. დუმს... ხმას არ იღებს.

— 18 წლის ბიჭს არ გინანია მაინც ომში წასვლა?

— არა. ომია, თუ მიდიხარ, არ უნდა ინანო...

— არც სიკვდილზე გიფიქრია?

— მხოლოდ დაღუპულ თანამებრძოლებზე ფიქრობ და სინაულიც ეს არის. თან მთელი გულით გინდა შენი მისის შესრულება...

— ტყვეობის დროს რაზე ფიქრობდი?

— კარგზე ვერაფერზე... თვალებით ვამხნევებდით ერთმანეთს, ეგ იყო და ეგ...

გია დურგლიშვილმა 2008 წლის აგვისტოს ომშიც ჩაიცვა სამხედრო ფარაჯა. 18 წლისამ კი არა, სახლიდან მოხალისედ წასულმა ბიჭმა კი არა, თავისი შეგნებული ცხოვრებით, მრჩამსით ახლა საკუთარ მამაპაპურ საპუდარს ეცილებოდა მტერი...

ვერ ავალაპარაკე... მედლით რომ არის დაჯილდოებული მამაცობისათვის, ეგეც მეუღლემ მითხრა. არ უყვარს გიას ომზე ლაპარაკი, საკუთარ თავზე — მით უმეტეს... მე კი მოუყევები მომავალ თაობას, რომ ჩვენ გვერდით ცხოვრობს ორი ომის მონაწილე, ტყვეობაგამოვლილი, მაგრამ მხნე, ხალისიანი, იუმორით სავსე, კარგი ოჯახის მამა და უკვე ბაბა გია დურგლიშვილი — ჩვენი დროის გმირი და სხვადასხვა დროს მოგიყვებით სხვებზეც...

თამარს. ძლიერ წამოუყენებიათ საფლავზე დამხობილი მისი სატრფო ანა.”

შვილის საფლავზე დამხობილ კოლა ერისთავს ბოლოს ძალა მოუკრებია და ზეცისენ ხელაპყრობილი უფალს შევედრებია: „შენ გებარებოდეს, უფალო, ჩემი ერთადერთი ვაჟის, შალვას ნათელი სულიო. მერე ერთხანს დადუმებულა უბედური მამა, მაგრამ მაინც შეუკავებია ცრემლი. ამჯერად წმინდა მონამე შალვა ქსნის ერისთავისთვის მიუმართავს: შენსავით სამშობლოსთვის დაჭრილ-დაჩეხილი შვილის სხეულს გაბარებდა ქსნის ხეობის სალოცავებს შეწევნას შევთხოვო.”

დავით ახლოური
ისტორიკოსი

ლიტერატურული სვეტი

ოცნება ზარიძე

სიზმრად ვნახე

სულმოუთქმელად გაილია ლოგოშეთი, სხანარი, წყაროები, ბომბორი, ვაკიჯვარი, ტბა. უკვე დაიწყო სათიბები. ცოტაც და ცას ხელით შეეწვდები. ერთმწერივად ჩამდგარი მთიბავების გამოკრული ცელის სისინით ახმაურებული ვეებერთელა მთები. სათიბების გვერდით დათვისაგან დალენილი დეკის ტოტებიდან აკრიახებული გარეული ქათმების გრიასი. მორცხვი პატარძალივით თავდახრილი მუვალის, მოცვის, მოცხარის ბუჩქები. უკვდავა, თავშავა, უთვალავი მთის ყვავილები. შორს ჰორიზონტზე მოჩანს ქალის ნანავივით დალალგაშლილი ქარჩხის ხეობა მდინარე ქსნის ყელსაბამით, უზარმაზარი მწვანე ვეშაპივით განილილი დადიანეთის მთა. მარჯვნივ ცხრაძმულა. სოფლები ზოდეხი, თოხთა, მარტიანი, კლდის ჩიტიანი. მარცხნივ ჭურთის ხეობა, მშველიეთი, მოჭალიეთი. მაღლა, ძალიან შორს ნისლებში გახვეული კავკასიონი.

სადაცაა დადამდება. ცხავატური სურით წყლის მოტანას ვჩერაობ. სახელდახელოდ დადგმულ თივის ზვინში ნაბადს ვაფენ და ახლა ჩემი მყუდრო ბინიდან გავყურებ ლამის სიბენელეში აკიაფებულ თბილისს, ჩემი ლამაზი საქართველოს დედაქალაქს. ეს ჩემი საქართველოა, ჩემი მთებია, ჩემი სალოცავ-საფიცარი. დღის განცდებს ლამის სილამაზეც დაემატა, დავტები, მშვიდად ჩამეტინა.

თვალი რომ გავახილე, თბილ გაღულუნებულ ოთახში მეძინა, არადა, ის ნაბადი სჯობდა, თივის სურნელი, მთის სუფთა ჰაერი.

ფარდა გადავწიე, გარეთ თითქოს ჩემს ჯიბრზე თოვდა, სადღაც გამქრალიყო თაკარა მზე, მწვანე მთებზე მარგალიტის მარცვლებივით გაბნეული ცხვარ-ბატყანი... უცებ გამოვფხიზლდი. წეროვანში ჩემი ბლოკის ლობეზე თავჩაქინდრულ მტრედებს თვალი შევავლე კი არა, ავარიდე.

8 თებერვალი. 2022



ახალგორის მუნიციპალიტეტის «03360» გამურიანის მომენტების ფოტოები

წარმატებით გამოვიდა



18 თებერვალს
ბორჯომ - ბაკურიანის ფესტივალზე წარმატებით წარსდგავახტანგ ციმაურიძის სახელობის ანსამბლი „ივერია“ – ხელმძღვანელები მასა ქურთაული და კახაბერ მარკოშვილი. ბავშვები და ჯილდოვდნენ ლაურეატის დიპლომებით.



წმინდა უზარ სახალილოს გახსნაზე არასამთავრული მიზანისათვის გული

მცხეთის მუნიციპალიტეტის წეროვნის დევნილთა და სახლებაში, ორგანიზაციამ „ჩვენ-ჯანსაღი მომავალი“ მიმდინარე საგრანტო პროგრამები წარადგინა.

პროექტები მცხეთისა და ახალგორის მუნიციპალიტეტების ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ითვალისწინებს დევნილთა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად.

ორგანიზაცია მოქალაქეთა აქტიურ თანამონანილებას შეუწყობს ხელს ამ პროექტების ფარგლებში, რათა გაუმჯობესდეს მათი და მათ გარშემომყოფთა ცხოვრება. აგრეთვე, ადგილობრივ მუნიციპალიტეტების დონეზე პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს.

პროგრამის მხარდაჭერია „ევრაზის თანამშრომლობის ფონდი“.

პროექტის ფარგლებში მოწყვო ადვოკატირების კამპანია „უფასო სასადილო სოციალურად დაუცველებისათვის“. ამ მიზნით 2022 წლის 3 თებერვალს გაიმართა სამუშაო ჯგუფის გაფართოვებული შეხვედრა, მოწვეულები იყვნენ ახალგორის და მცხეთის საკრებულოს ხელმძღვანელები. შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობიდან დაესწრო ახალგორის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ოთარ გაორნაშვილი.

პროექტის ხელმძღვანელმა ქალბატონმა თამარ მაისურაძემ წარმოადგინა ინფორმაცია ახალგორის საკრებულოს ხელმძღვანელთან შეხვედრის შესახებ.



ა(ა) იპ „მცხეთის უფასო სასადილო მზრუნველობამოქალებულთათვის“ ხელმძღვანელმა ქალბატონმა ქეთევან ჩიხჩიამ აღნიშნა, რომ მისი ორგანიზაცია არის მუნიციპალური, თუმცა მხოლოდ მცხეთაში მოსახლე ბენეფიციარები სარგებლობენ, მცხეთის სოფლის მოსახლეობა ვერ სარგებლობს ტრანსპორტირების უქონლობის გამო.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს წეროვნის და სახლებაში ახალი სოციალური სერვისის დაფუძნების ხარჯებზე. მსჯელობის შედეგად გადაწყდა:

შემუშავდეს ახალგორის საკრებულოსათვის ფინანსური და ბენეფიციარების რეგისტრაციის წესის მოდელი დაფუძნებული არსებული მცხეთის უფასო სასადილოს დოკუმენტაციის გამოყენებით;

შემუშავდეს ტენდერის მოდელი, ამისათვის საჭიროა ბაზრის კვლევა და საბაზრო ლირებულების დადგენა.

ასევე, სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ შემუშავდა პეტიციის ტექსტი, რომელიც გამოქვეწებამდე გადაეცემა პროექტის იურისტს და ადვოკატირების ექსპერტს შენიშვნებისათვის და შესათანხმებლად.



ისტორიკონის დავით ახლოური მეტად საჭირო და საშვილიშვილო საქმიანობას ეწვევა ქსნის ხეობის სოფლების ისტორიის შესწავლის საქმეში. მისი ნაშრომები ხშირად იქცევდება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, რაც მკითხველის მოწოდებას და ინტერესს იმსახურებს. ამჯერად ვხექვდავთ დავით ახლოურის ერთ-ერთ ბოლომდროინდელ ნაშრომს სოფელ ბალანზზე, რომელიც მან წარადგინა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე, 2020 წელს.

კულტურა (განაცი)

ახალდაბა ანუ დღევანდელი ბალაანი მდებარეობს ალევის ქედის დასავლეთ კალთაზე, მდინარე ქსნის მარცხენა მხარეს, ახალგორიდან 27 კილომეტრის დაშორებით, ზოვის დონიდან 1300 მეტრზე. იგი გახლავთ ქარჩოხის ხეობის სოფლების ადმინისტრაციული ცენტრი. 2008 წლის აგვისტოს ომამდე ბალაანში მდებარეობდა საკურებულო, საჯარო სკოლა და სხვა მნიშვნელოვანი დაწესებულებები.

სოფელში აღმართულია ოთხსართულიანი კოშკი, რომელიც გადახურულია ორქანობიანი სახურავით. „კოშკის ქვედა ნაწილი ყრუა, პირველი სართული ერთადერთი კარით 3 მეტრის სიმაღლეზეა. ცხადია, თავის დროზე ადიოდნენ მისადგმელი ხის კიბით. ხის სართულშუა გადახურვა გადაურჩენია სახურავს. გადახურვა შემდეგი კონსტრუქციისა: სანახევროდ გარანდული წვრილი მორები ერთმანეთზე მჭიდროდაა მიწყობილი. ამაზე ზემოდან დასხმულია 30-40 სანტიმეტრის სისქის დუღაბი, ზემოდან დაფენილია ქვის უსწორო ფილები” (ზაქარაია, 2002).

პირველ სართულზე კარის პირდაპირ გამართული ყოფილა ბუხარი, თონე, საყურადღებოა დიდი ზომის ქვევრებიც, რომელსაც, სოფლის უხუცესთა გადმოცემით, სხვადასხვა დაინშტაუბისთვის იყონებოდა.

პირველი სამი სართულის კედლებში სათოფე-
ბია განლაგებული. პ. ზაქარიას ვარაუდით, მეოთხე
სართულის მოპირდაპირე კედლებში ორ-ორი მცირე
ზომის ხვრელი შეიძლებოდა გამოყენებინათ როგორც
სინათლის წყაროდ, ისე დაზვერვისთვის. ცნობილი
მეცნიერი სტილისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით
მიიჩნევს, რომ ბალაანის კოშკი აგებული უნდა იყოს
XVI საუკუნის ბოლოს ან XVII საუკუნის დასაწყისში,
რიგითი ოსტატის მიერ პატარა სოფლის მფლობე-
ლისათვის, სავარაუდოდ, აზნაურისთვის (ზაქარია, 2002). ძეგლი ცნობილია ასევე „ცეცხლისჯვრობის“
კოშკის სახელწოდებით, სოფლის მოსახლეობა აქ ცე-
ცხლივერობას აღნიშნავდა. ამავე სახელწოდების კოშ-
კი მთიულეობიცაა, ნასოფლარ ზამორეულთაში. იგი
რამდენიმე თემის სალოცავი იყო და სათვალთვალო
კოშკის მისიასაც ასრულებდა, ისევე როგორც ბალაან-
ის კოშკი, რომელიც მტრის შემოსვლისას ცეცხლის
მეშვეობით ნიშანს აძლევდა ხეობის სხვა კოშკებს:
ძაბუეთს, კვერიათს, პავლიანს... აქედან მომდინარედ
მიიჩნევთ სახელწოდება - (ჯაჭვლივარსა(2...

კოშკის ჩრდილოეთით მიღდგული ყოფილა შენობა, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი, ასევე შემორჩენილია კოშკის მცირე ზომის აღავნის კვალი.

სოფელში რამდენიმე ქრისტიანული სალოცავია.



პალაანის წმინდა გიორგის ეკლესია

მათ შორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელზეც
დაშენებულია სამრეკლო. ტაძარს შემოვლებული აქვს
გალავანი, იქვე სოფლის სასაფლაოა, გალავნის შიგ-
ნით კი - მრავალწლოვანი ბზის ხეები. ს. მაკალათიას
მიხედვით, ეს იყო ქარჩხის ხეობის მოქმედი ეკლე-
სია, სადაც აღსარულებოდა ჯვრისწერა, ნათლობა და
სხვა საეკლესიო დღესასწაულები (მაკალათია, 1968).
აღსანიშნავია აგრეთვე კვირაცხოვლისა და ღვთისმ-
შობლის ნიშები, წმინდა გიორგის სახელზე აგებული
კიდევ ერთი ნიში და საღვთო სალოცავი, სადაც ბოლო
დრომდე სრულდებოდა რელიგიური რიტუალები.

ქართველის ხეობის სხვა სოფლების მსგავსად ტოპონიმთა გარკვეული ნაწილი სოფლის სალოცავებს უკავშირდებოდა: კვირაცხოველი - კვირაცხოვლის ნიშზე მიგვანიშნებდა, ლვთისმშობლისა და წმინდა გიორგის მამულები იმ ადგილებს ენოდებოდა, სადაც მათი სახელობის სალოცავები იყო აგებული. საღვთოს ქედზე, რომელიც სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობდა, საღვთო სალოცავი იყო დაბრძანისტული.

ქსნის ხეობის მოსახლეობის 1774 წლის აღწერით, ახალდაბაში ცხოვრიობდნენ მარტიაშვილები, ბალხამი-შვილები და ბუთხუზები. 1783 წლის აღწერის მონაცემებით, სოფლის მცხოვრებთა შორის ვევდებით: ბალხამიშვილებს, ფოცხვერაშვილებს (ბალხამიანთ განაყარი) და თინიკაშვილებს.

თუ ქსნის საერისთავოს 1774 და 1783 წლის სტატისტიკურ აღწერილობებს ერთმანეთთან შევადარებთ, მნიშვნელოვან ცვლილებებს შევნიშნავთ, მაგალითად, მარტივანთ ბერის შევილები დათუნა და თამაზა მომდევნო აღწერაში ბალხამიშვილებად არიან მოხსენიებულები, თავის მხრივ ბალხამიშვილების განაყარი შტოა ფორმულირაშვილები.

ამასთან, 1774 წლის აღნერაში ახალდაბაში ბალაშვილები არ გვხვდებიან, ხოლო 1783 წლის აღნერაში მოხსენიებული მათი წინაპარი თინიკაშვილების ოჯახი 1774 წელს ქენებაანთკარის მცხოვრებთა შორისაა: „ქ. თინიკას შვილი კომლი ა. თავი. გ. მოურავი აბრაძივანი და გიორგი“ (თაყაიშვილი, 1951: 39).

ქართული და სომების კულტურული მემკვიდრეობის შემსრულებელი მისამართი აღნიშვნის ხელმისაწვდომობრივი სამსახური

ახალდაბა (გაღანი)

მე-9 გვერდიდან

ქარჩოხის მოურავი აპრამი მამის სახელითაა ნახსენები - „ქარჩოხს ბალას შვილის აპრამის სახელი“ (ჯავახიშვილი, 1967). სწორედ მოურავის მამის სახელი უნდა გამხდარიყო საფუძველი შემდგომში გვარის - ბალაშვილის წარმოქმნისა. ახალდაბაში დამკვიდრებული მოურავის შთამომავლები საერთო გვარიდან - თინიკაშვილიდან გამოდიან და გვიანფერდალურ ხანაში ქარჩოხის ხეობაში მოპოვებულ სოციალურ უპირატესობას შემდგომში ახალი გვარის ქვეშ აფიქსირებენ...

მოურავის სახელს დაუკავშირდა ტოპონიმები: მოურავიანი (სოფლის მოსახლეობის ერთ-ერთი შტო), მოურავიანთ მიწები (სახანავ-სათესი მამულები)... მოსახლეობა სხვა შტოებადაც იყოფოდა - მათეანი და ზევითლიანი. სოფლის თავში მოსახლე ბალაშვილებს ზევითლიანებად იხსენიებდნენ, მათეანი წინაპრის პატივსაცემად მის შთამომავლებს ეწოდათ.

1804 წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით ახალდაბაში სამი ოჯახი ცხოვრობდა. სულ 28 მამაკაცი და 18 ქალია აღრიცხული... სოფელში, მსგავსად XVIII საუკუნის II ნახევრისა, ისევ სამი გვარი სახლობს: მარტიაშვილები, ბალხამიშვილები და თინიკაშვილები. გიორგი და აპრამ თინიკაშვილების შთამომავლები ერთ ოჯახად ცხოვრობენ, გვარსაც ჯერ კიდევ თინიკაშვილს ატარებენ...

ბალაშვილების წინაპრების თავდაპირველი სამკვიდრო, ცხადია, თინიკაანი გახლდათ. სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთრის მიხედვით, თინიკაანის მკვიდრთა შორის მოხსენიებულია მოურავი აპრამ თინიკაშვილი (ქსდ, ტ., III, 1970), აქედან მისი ოჯახი ჯერ ქენქაანში გადმოსახლდა, შემდეგ კი ახალდაბაში. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათი შთამომავლები, მოგვიანებით, უახლესი წინაპრის ბალას პატივსაცემად ბალას შვილებად დაეწერნენ. სოფელსაც გარკვეული დროის შემდეგ სახელი შეეცვალა და ძირითადი გვარის მიხედვით ბალაანი ეწოდა. ბალაშვილებს მამაპაპისეულ სამკვიდროში მამულები ჰქონიათ, რომელსაც კოლექტივიზაციამდე ამუშავებდნენ. თინიკაშვილებისა და ბალაშვილების ბიძაშვილები ანუ სახლიკაცები არიან ქსნის ხეობელი ახლოურები და ხორიშვილები. ამ ოთხი გვარის საერთო წინაპარი ფშაველი გაბიდაურია, ისინი დღემდე იცავენ ფშავში ოდითგანვე დამკვიდრებულ ეგზოგამის ცნობილ ტრადიციის (ახლოური, ფშაველი გაბიდაურები, 2013). ძმათა შვილებში ურყევი იყო ნათესაობის შეგნება და ერთი ხატის ყმობის რწმენა, აკრძალული იყო ქორწინება და ერთმანეთის შეყვარება. ქალის გათხოვება თავისივე ხატის ყმაზე არგაგონილ დანაშაულად ითვლებოდა (მაკალათია, 1985)...

როგორც ქსნის ხეობის ბევრ სხვა სოფელში, ახალდაბაში ცალკე აღსანიშნავია სალოცავის სახელზე არსებული მიხები. ვ. ითონიშვილის ცნობით, ბალაანში წმინდა გიორგის სახელზე არსებულა სამი მინის ნაკვეთი: „1. ნაფუძარი 2. ხატიმინა 3. ჯორთუკანა.“

1873 წლის აღწერით ბალაშვილები რიცხობრივად უკვე სჭარბობენ სოფელში მცხოვრებ სხვა გვარებს, სოფელიც ერთდროულად ორი სახელითაა მოხსენიებული: „ახალდაბა ანუ ბალაანთკარი“. აღწერა 10



ბალაანის კოშკი

აგვისტოს ჩაუტარებიათ და პასუხისმგებელი პირი ყოფილან სოსია თინიკაშვილი, გიგოლა ბალხამიშვილი და ალდგომელა მიდელაშვილი, ხოლო იმ დროს ახალდაბაში საზოგადოების მამასახლისია გიგო კარელიძე. აღწერის მიხედვით, ბალაანში 12 კომლს უცხოვრია, 53 მამაკაცსა და 47 ქალს. აქედან შვიდი კომლი ბალაშვილია, სამი - ბალხამიშვილი, ერთი - მარტიაშვილი და ერთიც - ქაწაშვილი.

ბალაანს ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ტყე, რომელიც „ბალხამთ მზვარის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ესეც იმის მიმნიშნებელია, თუ რა როლს ასრულებდნენ სოფლის ცხოვრებამი აქ ბალაშვილებამდე დამკვიდრებული ბალხამიშვილები. ზემოთ ჩამოთვლილ გვარის შვილთა გარდა, ძველი ახალდაბის სასაფლაოზე განისაზღებენ მეზობელი სოფლის - მიდელაანის მკვიდრი. სოფლის უცუცესის სანდრო მიდელაშვილის (გარდ. 2021 წელს) ცნობით, მიდელაშვილებს, იმისათვის, რომ მათი მიცვალებულები წმინდა გიორგის ეკლესის ახლოს დაეკრძალათ, გარკვეული საფასური გაუღიათ (ახლოური, ბალაანის მოსახლეობა, 2019). სასაფლაოს გარდა მიდელაშვილებს მამულებიც ჰქონდათ ბალაანში, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო ქარჩოხის ხეობის მოსახლეობისათვის, ისინი ხეობის სხვადასხვა სოფლებში ფლობდნენ სახნავ-სათიბ ადგილებს, მაგალითად, ბალაანში - მიდელაშვილები და ქენქაძეები, თინიკაანში, მიდელაანში და ქენქაანში - ბალაშვილები და ასე შემდეგ... მთებს, რომელსაც თავის დროზე მეზობელი სოფლის მოსახლეობა თიბავდა, მოხსენიებდნენ როგორც ქენქაანთ მთა, მიდელაანთ მთა...

არც მამულზე დავა იყო სოფლებს შორის უცხო; დიაკვნის ქედი სოფლების ჭორჭოხისა და ბალაანის

საზღვარზეა. გადმოცემით, ბალანელებსა და ჭორჭოხელებს მამულების გამო მუდმივად დავა და შფორთი ჰქონიათ. საკითხის მოგვარება სოფლის დიაკვანს გადაუწყვეტია. იგი შეთანხმებულა ჭორჭოხელებთან, რომ წაიღებდა სამანის ქას ბალანიდან და სადამდეც შეძლებდა შეუსვენებლად მის ატანას, იქ იქნებოდა საზღვარი. ღვთის მსახურს დიაკვნის ქედთან ჩაუმჯელავს და იქვე გარდაცვლილა. მისი სამუდამო განსასვენებელიც საზღვრის ქედზეა. (ახლოური, ქვემო ქარჩოხის ხეობის ტოპონიმები, 2021).

ქსნის ხეობაში და მით უფრო მთიან ზოლში ხშირად ვხვდებით ტოპონიმებს: ახობი, ნატეხები, მაგალითად, ბალანში მამულებს მოიხსენიებდნენ ორდაანთ ნატეხის, ლექსოს ნატეხის, ლადოს ნატეხის სახელწოდებებით... ამით უკვდავყოფილია იმ დიდი წინაპრების სახელები, რომლებმაც კოლოსალური შრომის საფასურად გაჩინებული მომავალი და სახნავად მოამზადეს.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დევნილი მოსახლეობის ნაწილი ფრეზეთში დასახლდა, ნაწილი - წეროვანი... სიმბოლურია ალბათ ისიც, რომ ფრეზეთში მცხოვრები ქარჩოხის ხეობელი ბავშვები, დღეს ახალდაბის საჯარო სკოლაში სწავლობენ...

დავით ახლოური

იქავი ინფორმირებული - იქავი დაცული!

წეროვნის მესამე საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ტატიშვილი) ევროპულ სკოლათა გაერთიანება „eTwinning“ პლატფორმაზე პროექტში „იყავი ინფორმირებული - იყავი დაცული“ (რომელიც განხორციელდა 2021 წლის 1 ოქტომბრიდან 2022 წლის 30 იანვრის ჩათვლით) დაჯილდოვდა მასნავლებლის (ნანა გიგაური), მოსახლეების მიერ საინტერესო მასალების გაზიარების, გუნდური მუშაობის, გამოცდილების გაზიარების და საინტერესო მასალებისთვის.



ჩა უჩინა იქრთაღებს იღია ჭავჭავაძემ და ჩატორე მოისეანიაზლენი იქრის პატარე კახეთიად

სოფელ იკოთში მცხოვრები ფიცხელაურები ხშირად მასპინძლობდნენ დიდ ქართველებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძესა და ექვთიმე თაყაიშვილს. ექვთიმე ფიცხელაურების ოჯახში ბევრ ისეთ ისტორიულ დოკუმენტს მიაკვლია, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ საქართველოს ნარსულის შესწავლაში. გავიხსენოთ თუნდაც ქართული სამართლის უნიკალური ძეგლი „გარიგება ხელმიწის კარისა“, რომელიც ამაგდარ ერისკაცს სწორედ იკოთში უნახავს (ცაგურაშვილი, 2007). ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურული, ეკონომიკური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვსო - ბრძანებდა ივანე ჯავახიშვილი. მართალია ტექსტის ნახევარზე მეტი დაკარგულად ითვლება, მაგრამ გადარჩენილიც ფრიად ლირებული წყაროა. ექვთიმე ასევე იკოთში მიაკვლია ქსნის საერისთავოს სტატისტიკურ აღწერილობას, სხვა 35 სიგელ გუჯართან ერთად, რომლებიც „საქართველოს საისტორო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ მუზეუმს დიდსულოვნად გადასცა ვახტანგ ივანეს-ძე ფიცხელაურის დედამ.

ზოგადად, იკოთი საკმაოდ მდიდარი, მოსავლიანი და ნაყოფიერი სოფელი იყო. მოსახლეობის აღწერებიდან ჩანს, რომ იკოთელებს ჰქონიათ 62 უყრძნის ბალი და მოპყავდათ 9342 თუნგი ლვინო (XVIII საუკუნეში თუნგის ტევადობა 3 - 3,4 ლიტრს შეადგენდა)... ცნობილი პროფესორის დავით გვრიტიშვილის მიხედვით, იკოთში მევენახეობა იმდენად ყოფილა განვითარებული, რომ მას, პატარა კახეთად მოიხსენიებდნენ.

თავისი საკუთარი „ხატის ვენახი“ ჰქონდა სოფლის დასავლეთით, შაოსანთა მთაზე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას, სადაც ღვინოს წურავდნენ.



XIX საუკუნის 70-ან წლებში იკოთში ივანე არჯევანის ძე ფიცხელაურთან სტუმრად მყოფ ილიას ძალიან მოსწონებია იკოთური ღვინოები და იქაური გლეხებისთვის ურჩევია ვაზის კულტურა ფართოდ დაენერგათ.

როგორც ვიცით, ილია ახლო ურთიერთობაში იყო ნიკოლოზ (კოლა) ერისთავთან. ილიას მოუნათლავს ნიკოლოზის პირველი ვაჟი - გიგუშა, რომელიც ადრეულ ასაკში, 8 წლის გარდაცვლილა. ისინი ხშირად მასპინძლობდნენ ერთმანეთს. ამის შესახებ ვრცლად მომავალში მოგითხობთ...

დავით ახლოური

უკრაინა — თებერვალი. 2022 წელი

24 თებერვალს, ღილის 5:00 საათზე, რუსთავის ფაფურაციის შეისარადგულება ქალაქის დაცვის უკრაინის შეისარადგული ქალაქის ეველანაურვების იციანებული დაგრძელვა უკრაინის აღმოსავლეთით.

პარალელურად, რუსთავის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ უკრაინის ტერიტორიისა და დასახლებების დაპრობება დაიწყო.



საქართველო — აგვისტო. 2008 წელი

